

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. (ა (ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც კოორდინირებას უწევს ინტერდისციპლინურ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.
2. ცენტრის ოფიციალური სახელწოდებაა „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრი“.
3. ცენტრს აქვს საკუთარი ანგარიში, ბლანკი უნივერსიტეტის ლოგოთი, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის დირექტორის მიერ უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
4. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და კომპეტენციები

1. ცენტრის მიზანია:
 - ა) ინტერდისციპლინური სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ერთიანი ადმინისტრაციული სტრუქტურის შექმნაზე რეკომენდაციების მომზადება;
 - ბ) უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური სასწავლო პროგრამების კოორდინირება;
 - გ) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო და ეროვნულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აკადემიური კავშირების დამყარება და აკადემიური თანამშრომლობის განვითარება;

- დ) უნივერსიტეტში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და გაუმჯობესება, მათი განხორციელების კოორდინაცია;
- ე) კონფერენციებისა და სამეცნიერო სემინარების/ტრენინგების ორგანიზება;
- ვ) აკადემიური პერსონალის მომზადებაში და გადამზადებაში მონაწილეობის მიღება;
- ზ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით ტრანსფერული უნარების ელემენტების შესახებ რეგულაციების შემუშავება.

2. ცენტრის კომპეტენციები:

- ა) ინტერდისციპლინური სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალი, რომლებსაც კოორდინირებას უწევს ცენტრი განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით.
- ბ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ცენტრი თავის კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს სხვა უნივერსიტეტებთან და/ან მათ სტრუქტურულ ერთეულებთან, სამეცნიერო ფონდებთან, სხვადასხვა ტიპის აკადემიური თუ გამოყენებითი პროექტების განსახორციელებლად.
- გ) ცენტრი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე საქმიანობა, მათ შორის საპროექტო საქმიანობა.
- დ) აკადემიური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ცენტრი იწვევს საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებს.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც წარმართავს ცენტრის მუშაობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხო ქვეყნების სამეცნიერო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
2. ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას კოორდინაციას უწევს ადმინისტრატორი, რომელსაც ცენტრის დირექტორის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.
4. ცენტრის დირექტორის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს ასრულებს ადმინისტრატორი.

5. ცენტრის პოლიტიკას განსაზღვრავს ცენტრის საბჭო. საბჭო შედგება ცენტრში გაერთიანებული ინტერდისციპლინური სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებისაგან. საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით ერთიანდებიან უნივერსიტეტის ფაკულტეტების წარმომადგენლები შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოების წარდგინებით. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 4. ცენტრის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით.